საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიური წმინდამატყლიანი ცხვარი

კავკასიური
წმინდამატყლიანი ცხვარი

კავკასიური წმინდამატყლიანი ცხვარი, სახორცე-სამატყლე მიმართულების ცხვრის ჯიში. გამოყვანილია 1921–26 წლებში სტავროპოლის მხარის იპატოვოს რ-ნის სამომშენებლო მეურნეობა „ბოლშევიკში“ ახალკავკასიური წმინდამატყლიანი ცხვრის შეჯვარებით ამერიკულ რამბულიესა და ასკანიურ ერკემალთან. ერკემლის მატყლის ნაპარსია 10–12 კგ (ყველაზე დიდი რაოდენობა – 25 კგ-მდე), ნერბისა – 5,8–6,5 კგ (ყველაზე დიდი რაოდენობა 13 კგ); მატყლის სიგრძე 7,5–8,5 სმ (64-ე ხარისხისა). წმინდა მატყლის გამოსავალი – 38–43%; ცოცხალი მასა ერკემლისა – 90–100 კგ, ნერბისა – 50–60 კგ. ნერბის ნაყოფიერება 150%-ს აღწევს. ერკემალს იყენებენ ზოგიერთი წმინდამატყლიანი და უხეშმატყლიანი ჯიშების გასაუმჯობესებლად. კ. წ. ც. მოშენებულია რფ-ის ზოგიერთ მხარესა და ოლქში, აგრეთვე ყაზახეთში, საქართველოსა და სომხეთში.